პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 116 (3600)

15 ივნისი, შაბათი. 1968 წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

საკავშირო სპორტკავშირში

ანგარიშგება-არჩევნების შესახებ

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების უფლებამოსილების ვადის გასვლასთან დაკავშირებით, ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ა. წ. სექტემბრიდან მომავალი იანვრის ჩათვლით, ჩატარდეს სპორტკავშირების ხელმძღვანელი ორგანოების საანგარიშო-საარჩევნო კრებები და კონფერენციები საწარმო-დაწესებულებათა, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, პროფტექნიკური სასწავლებლების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, აგრეთვე, სხვა ორგანიზაციების ფიზკულტურულ კოლექტივებსა და სპორტულ კლუბებში; სპორტსაზოგადოებათა რაიონული, სამხარეო, საოლქო, რესპუბლიკური (ასსრ) და საკავშირო კონფერენციები; სპორტკავშირების რესპუბლიკური კონფერენციები.

არჩევნების მსვლელობისას უნდა მოხდეს საანგარიშო მოხსენებათა ფართო განხილვა. ანგარიშგება-არჩევნები და კონფერენციები უნდა ჩატარდეს კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით, დაისახოს ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების კონკრეტული ამოცანები.

◆ **ფულდა (გფრ), 14 ივნისი.** მძლეოსანთა აქ გამართულ მატჩში გფრ-ის გუნდმა (ბ. ტიუმლერი, ვ. ადამსი, ჰ. ნორპოტი, ფ.-ი. კემპერი) მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა 4X880 იარდზე ესტაფეტაში — 7.14,8. ეს 1,2 წამით სჯობს 2 წლის წინათ სსრ კავშირის გუნდის მიერ ლონდონში ნაჩვენებ შედეგს.

◆ **ბუდაპეშტი, 14 ივნისი.** ავსტრიელმა ტაქსის შოფერმა დ. შირილამ, რომელმაც შარშან დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად 2200 კმ გაირბინა უნგრეთის დედაქალაქიდან მოსკოვამდე, ახლა სხვა ზეგრძელი დისტანციის დაძლევას აპირებს, ამჯერად, ცურვით. მას განზრახული აქვს ბუდაპეშტიდან დუნაის გაუყვეს და 2000 კმ დაფაროს შავ ზღვამდე.

◆ **ლონდონი, 14 ივნისი.** კენტის საგრაფოს ჩემპიონატში მოასპარეზე საბჭოთა ჩოგბურთელებისთვის გუშინდელი 13 რიცხვი მართლაც თარსი აღმოჩნდა: ერთეულთა შეჯიბრებების მონაწილე ყველა საბჭოთა სპორტსმენი ბრძოლას გამოეთიშა. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მეოთხედფინალებში ისინი პროფესიონალებს შეხვდნენ. გ. ბაკშეევამ წააგო ინგლისელ ე. ჯონსთან — 3:6, 1:6, ა. ვოლკოვმა — ავსტრალიელ ფ. სტოლესთან — 1:6, 4:6, ხოლო ვ. კოროტკოვმა — მწვანე კონტინენტის მეორე წარმომადგენელთან ლ. ჰოადთან — 2:6, 6:8.

◆ **დამასკო, 14 ივნისი.** XIX ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა სიიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ამოღების შემდეგ, სირიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა თავისი სპორტსმენების გაგზავნა მეხიკოში.

◆ **პოტსდამი, 14 ივნისი.** მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში რიგელმა ი. ლუსისმა წლევანდელ სეზონში ყველაზე შორს ტყორცნა შუბი — 87,66 მ. დ. ჰოსმანმა 19,54 მეტრზე ჰკრა ბირთვი, რაც გდრ-ის ახალი რეკორდია და მხოლოდ 10 სანტიმეტრით ჩამორჩება ევროპულს.

◆ **პარიზი, 14 ივნისი.** „პოლ მერიკამპის მემორიალის" მეორე დღეს რ. ბამბიუკმა (საფრანგეთი) ევროპის რეკორდი გაიმეორა 200 მეტრზე რბენაში — 20,4 წამი. სიმაღლეზე ხტომაში ყველას აჯობა მოსკოველმა ვ. სკვორცოვმა — 216 სმ. მან მეორე ადგილზე დატოვა ჩადის რესპუბლიკის წარმომადგენელი მ. იდრისი (210 სმ.). 5000 მეტრზე რბენაში ევროპის სტადიონებზე წლევანდელი სეზონის საუკეთესო დრო აჩვენა ფრანგმა ჟ. ვადუმ — 13.29,6. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულმა ჩამოიტოვა მსოფლიოს რეკორდსმენი რ. კლარკი (ავსტრალია) — 13.31,8. 100 (11,5) და 200 (23,8) მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ფრანგმა სპორტსმენმა ქალმა ჰ. ტელიემ.





სურათებზე: 2 გოლი ცსკა-ს კარში. ზევით — ი. ბაუჟამ ნახტომიც ვერ მოასწრო. ხ. მეტრეველის დარტყმაზე; ქვევით — გ. გავაშელს თავით გააქვს მეორე ბურთი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

●

(მატჩის ანგარიში იხ. მე-3 გვ.).

ფესტივალის ჩირაღდანი სტარტს იღებს ჰელსინკში

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა IX მსოფლიო ფესტივალის ჩირაღდანს სოფიაში მოტოესტაფეტა „ფესტივალი" ჩაიტანს. ჩირაღდანი სტარტს აიღებს 9 ივლისს ჰელსინკში, სადაც მსოფლიოს ახალგაზრდობის წინა ზეიმი მოეწყო.

ესტაფეტა გადაკვეთს ფინეთ—სსრ კავშირის საზღვარს, გაივლის ჩვენი ქვეყნის, პოლონეთის, გდრ-ის, ავსტრიის, უნგრეთის გზებს და 28 ივლისს ჩავა ბულგარეთის დედაქალაქში.

ყოველივე ეს ითქვა მოტოესტაფეტის ორგანიზაციის კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა მოსკოვში. კონფერენციის მონაწილეთა შორის იყვნენ ბულგარეთის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთისა და ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლები.

„ა" კლასი — II ჯგუფი

III ქვეჯგუფი

მორიგი ტურის მატჩები ასე დამთავრდა: „შირაკი" (ლენინაკანი) — „მეშახტე" (ტყიბული) 0:0, „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 2:0, „ვოლგა" (ულიანოვსკი) — „დინამო" (მახაჩყალა) 1:1, „ვოლგა" (გორკი) — „ტორპედო" (ტაგანროგი) 2:0, „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) — „თერგი" (გროზნო) 0:0, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „სტროიტელი" (უფა) 0:0, „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) — „ზვეზდა" (პერმი) 2:0, „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) — „ზენიტი" (იჟევსკი) 1:1, „ვოლგარი" (ასტრახანი) — „ფოლადი" (სუმგაითი) 3:2.

ლიდერთა მატჩი

ჭექა...

მოსკოვში შედგა საკავშირო საფეხბურთო ჩემპიონატის ცენტრალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ პირველობის ლიდერი — მოსკოვის „სპარტაკი" და II ადგილზე მყოფი სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი — კიევის „დინამო".

მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3. ბურთები გაიტანეს: სპარტაკელებმა ამბარცუმიანმა, ევლენტიევმა, ოსიანინმა, დინამოელებმა საბომ, პილიპჩუკმა და პუზაჩმა.

„ა" კლასი — I ჯგუფი

გათამაშების ცხრილი ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 15 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" (მოსკოვი)	13	8	4	1	24—11	20
„დინამო" (კიევი)	14	6	7	1	17—9	19
„ტორპედო" (მოსკოვი)	13	6	5	2	21—11	17
„დინამო" (თბილისი)	13	5	6	2	10—4	16
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	13	6	4	3	13—8	16
„დინამო" (მინსკი)	13	5	5	3	12—8	15
„ნეფტჩი" (ბაქო)	13	5	4	4	11—6	14
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	13	5	4	4	11—9	14
„ზენიტი" (ლენინგრადი)	13	3	8	2	12—12	14
„შახტიორი" (დონეცკი)	13	3	8	2	10—11	14
„ზარია" (ლუგანსკი)	14	4	5	5	7—13	13
ცსკა	13	3	6	4	10—12	12
სკა (როსტოვი)	13	4	4	5	17—19	12
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	13	3	6	4	13—16	12
„არარატი" (ერევანი)	13	3	5	5	11—14	11
„ტორპედო" (ქუთაისი)	14	3	5	6	12—18	11
„პახტაკორი" (ტაშკენტი)	13	2	6	5	13—19	10
„დინამო" (მოსკოვი)	14	2	5	7	12—19	9
„კაირატი" (ალმა-ათა)	13	2	4	7	8—15	8
„დინამო" (კიროვაბადი)	13	1	5	7	5—15	7

სპარტაკიადის XX ფლიუგი

გუშინწინ თბილისში სტარტი აიღო მოსწავლეთა XX საიუბილეო სპარტაკიადამ. უკვე ორი დღეა ახპარეზობენ ნორჩი კალათბურთელები, თავისუფალი სტილის მოჭიდაველები, ფრენბურთელები, ტანმოვარჯიშენი, ხელბურთელები, მსროლელები, მოფარიკავენი, ფეხბურთელები, მაგიდის ჩოგბურთელები და ველოსიპედისტები. რამდენიმე დღეც და დანარჩენი 10 სახეობის წარმომადგენლებიც ჩაებმებიან შეჯიბრებაში.

ბუნებრივია, პირველმა შედეგებმა ზოგი გაახარა, ზოგს იმედი გაუცრუა.

უკვე გამოვლინდნენ სპარტაკიადის პირველი ჩემპიონები: თბილისელი ზოფარიკავე რ. ლომინაძე, სოხუმელი მსროლელი ვ. ხოხლოვი, თბილისელი ველოსიპედისტი გ. ბულბულოვი...

შეჯიბრების პირველ დღეს გამარჯვა ფრენბურთელთა 8 მატჩი: საინტერესოა, რომ გოგონათა გუნდების ოთხივე შეხვედრა „შრალი“ ანგარიშით (3:0) დამთავრდა. აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, თბილისისა და ქუთაისის გუნდებმა შესაბამისად დაამარცხეს წყალტუბოს, აჭარის, გარდაბნისა და რუსთავის წარმომადგენლები. სასიამოვნო სიურპრიზი იყო სამხრეთ ოსეთის ფრენბურთელ გოგონათა გამარჯვება. უფრო დაძაბული ბრძოლა გაიხადეს ვაჟთა გუნდებმა.

ფოთის ხელბურთელმა გოგონებმა გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხეს აჭარის ნაკრები (17:3). ასევე „გაუმასპინძლდნენ“ თბილისელი ჭაბუკები რუსთაველებს — 26:3. ფრედ დამთავრდა სამტრედიისა და აჭარის ჭაბუკთა გუნდების შეხვედრა (14:14), სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა კი 1 ბურთით დაამარცხეს ფოთის ნაკრები — 21:20.

ჭაბუკ მაგიდის ჩოგბურთელთა 5 შეხვედრა „შრალი“ ანგარიშით (5:0) დამთავრდა (გამონაკლისი იყო ქუთაისისა და სამხრეთ ოსეთის მატჩი — 5:1). აქედან ორი გამარჯვება ეკუთვნის თბილისის ნაკრებს (თელავთან და გეგეჭკორთან), ორი — აჭარის გუნდს (სამხრეთ ოსეთთან და თელავთან), ერთი — რუსთაველებს (გეგეჭკორელებთან).

II ჯგუფის ფეხბურთელთა ტურნირის პირველ დღეს მატჩი ყველაზე დიდი ანგარიშით მოიგო ცხაკაიას ნაკრებმა (წულუკიძელებთან — 6:0). სამტრედიისა (ჭიათურელებთან — 3:0) და ხაშურის (გორელებთან — 2:0) ფეხბურთელებმაც „შრალი“ ანგარიშით გაიმარჯვეს. თელავის ნაკრებმა მძიმე ბრძოლაში დაამარცხა წალკის გუნდი — 3:2.

• • •

სურათზე: სპარტაკიადის ჩემპიონი, ესპადრონისტი რ. ლომინაძე, რომელმაც ყველას აჯობა 1962-63 წლებში დაბადებულ ჭაბუკებში.

ფოტო ი. იუნაევისა.

ᲔᲣᲠᲐᲚᲝᲚᲔᲑᲐ — ᲜᲝᲠᲩ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲗᲐ ᲑᲐᲜᲐᲕᲔᲑᲨᲘ!

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ყოველწლიურად ეწყობა ნორჩ სპორტსმენთა ბანაკები თბილისის მოსწავლეთათვის. ამ ბანაკების მიზანია მოზარდთა ჯანმრთელობის განმტკიცება და სპორტული მომზადების დონის ამაღლება. მაგრამ, როგორც მრავალმხრივმა შემოწმებამ გვიჩვენა, მიზანი ყოველთვის რიდი მართლდება. ბანაკის გახსნის თაობაზე საკითხის დაყენებას და ხათანადო დადგენილების გამოტანას დიდი დრო არ სჭირდება. გასაკვირი იწყება შემდეგ, როცა აღარავის აინტერესებს, რა პირობებში მოუხდება მუშაობა ბანაკს, როგორი იქნება რეჟიმი, კვება, გართობა, დასვენებისა და სპორტული წრთობის ორგანიზაცია.

ბანაკების გახსნის მსურველი ორგანიზაციები საკმაოზე მეტია. ნებართვის მიღების შემდეგ ისინი თავიანთი შეხედულებისამებრ წყვეტენ ყველა საკითხს. ხშირად ბანაკები შეუფერებელ ბინებში ეწყობა. არა აქვთ საჭირო რაოდენობით სპორტინვენტარი, ბევრგან არ მუშაობს ხათანადო კადრები. შენიშნულია, რომ ხშირად ბანაკში ერთი მესამედიც არაა ნორჩი სპორტსმენი. თავს იშით იმართლებენ, ბანაკის გახსნისთვის ბავშვები ქალაქიდან იყვნენ გასული და კონტინგენტი ხომ უნდა შეგვევსოო (!).

ყველაზე მიუტევებელი მაინც ისაა, რომ ნორჩ სპორტსმენთა ბანაკებში არ სრულდება ეგგმით გათვალისწინებული ღონისძიებები. „ბავშვები მთელი წლის მანძილზე ისედაც დატვირთული არიან სწავლით, ვარჯიშით, თვითმოქმედ წრეებში მუშაობით და უცხო ენების შესწავლით. აქაც რომ ვამეცადინოთ, რაღა დასვენება იქნება“? ასეთია ზოგიერთი ბანაკის ხელმძღვანელის აზრი. იბადება კითხვა: მაშ, რაღა საჭიროა ნორჩ სპორტსმენთა ბანაკის ამბავი?

ნორჩ სპორტსმენთა ბანაკები ყოველწლიურად ადგილმონაცვლეობენ ბათუმში, ლანჩხუთში, მეჯვრისხევში, კოჯორში, თეთრ წყაროში, თელავში... ვფიქრობთ, საქმე უფრო მოიგებდა, თუ მათ ერთხელ და სამუდამოდ მივუჩენდით ადგილს. აქვე მოეწყობოდა სპორტული მოედნები, შეიქმნებოდა ნორმალური მუშაობის პირობები. ამასთან, აუცილებელია ბანაკს ხელმძღვანელობდეს ერთი რომელიმე ორგანიზაცია. მტკიცე კონტროლი უნდა დაწესდეს მოზარდთა კონტინგენტის შერჩევაზე. გამართლებული იქნება, თუ საერთო პიონერთა ბანაკების საგზურების მსგავსად, ნორჩ სპორტსმენთა ბანაკების საგზურებსაც პროფკავშირების რაიკომები გაანაწილებენ. ამასთან, ბავშვები სკოლისა და სპორტსკოლის ხელმძღვანელთა დახმარებით უნდა შეირჩეს. არ უნდა დავიიწყოთ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონისა და ქალაქის მოზარდთა დასვენების საკითხიც.

ერთი სიტყვით, ნორჩ სპორტსმენთა ბანაკებისთვის ყოველწლიურად უამრავი თანხა იხარჯება, სასურველი შედეგი კი ჯერჯერობით არ ჩანს.

ამ საქმის მოსაგვარებლად დროულად უნდა იზრუნონ განათლების, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა.

ო. ჩიჟავილაძე,

განათლების უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის კულტურულ-საყოფაცხოვრებო განყოფილების გამგე.

ᲮᲐᲨᲣᲠᲘ

ჩატარდა სოფლის სკოლების რაიონული პირველობა მძლეოსნობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 9 საშუალო სკოლის 140 მოსწავლე. ჩემპიონობა მოიპოვა ქვეშხეთის გუნდმა. II ადგილზეა იტრიის სკოლის ნაკრები.

ზ. ᲛᲝᲡᲔᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ

დოსაფის კომიტეტმა ჩაატარა შეჯიბრება ტყვიის სროლაში. ტურნირში 80-მდე მსროლელი მონაწილეობდა. რაიონის ზონაში ყველას აჯობა ჭკადუაშის საშუალო სკოლის მასწავლებელმა რ. გიგანმა, გუნდური პირველობა კი ოდიშის სკოლამ მოიგო. ქალაქის ზონაში ჩემპიონი გახდა ფ. კაკულია (ზუგდიდის ჩაის საწნეხი ფაბრიკა). გუნდურ ჩათვლაში იმარჯვეს 1-ლი საშუალო სკოლის სპორტსმენებმა.

• • •

მოსწავლეთა პირველობაში 14 მოჭადრაკე ჩაება. ყველის აჯობა 11 წლის მ. კუტალიამ (მე-6 სკოლა), რომელმაც 11 ქულა მოაგროვა. მეორე იყო გ. ჯანშია (1-ლი სკოლა), ხოლო III-IV ადგილები გაიყვეს გ. კუტალიამ (მე-6 სკოლა) და კ. დგებუაძემ (მე-9 სკოლა). V ადგილი დაიკავა შეჯიბრებაში უ�-ურსოდ მონაწილემ, 13 წლის მარინე კუტალიამ.

ბ. ᲐᲚᲨᲘᲑᲐᲘᲐ.

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘ

აქ ჩატარდა ადგილობრივი პიონერთა სახლისა და თბილისის 136-ე საშუალო სკოლის მოჭადრაკეთა ამხანაგური მატჩი. გიმარჯვეს სტუმრებმა — 17:11.

ლ. ᲥᲔᲛᲐᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ

რაიონის მოსწავლეთა საჭადრაკო პირველობაში 14 ნორჩმა მიიღო მონაწილეობა. I ადგილი დაიკავა რ. ჩახვაშვილმა (კარდანახი), II — ვ. დურგლიშვილმა (ახაშენი), III-IV ადგილები გაიყვეს დ. ყავალაშვილმა (ველისციხე) და ი. შეძველიამ (ვეჯინი).

ი. ᲝᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘᲫᲔ.

ᲒᲝᲠᲘ

რაიონის მძლეოსანთა პირველობა სამ ასაკობრივ ჯგუფად ჩატარდა. სარბიელზე გამოვიდა 34 ფიზკულტურული კოლექტივის 550-მდე მოსწავლე. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს ატენის სკოლა-ინტერნატის მძლეოსნებმა.

გ. ᲒᲝᲯᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ

რაიონის სოფლის სკოლების მძლეოსანთა პირველობა, რომელშიც 12 საშუალო და 10 რვაწლიანი სკოლის 400-მდე ფიზკულტურელი მონაწილეობდა, სიქოთარის რვაწლიანი სასწავლებლის გუნდის გამარჯვებით დამთავრდა. II და III ადგილები დაიკავეს ჩხარის საშუალო სკოლისა და ქვედა სოფლების რვაწლიანი სკოლის წარმომადგენლებმა.

ა. ᲩᲐᲠᲔᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ,

სპორტკავშირის რაიხსაბჭოს თავმჯდომარე.

ᲛᲐᲡᲐᲞᲘᲜᲫᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲜᲓᲜᲔᲑ

„სტაიერის დღე“, რომელიც ამას წინათ თბილისის „სპარტაკის“ აუზში გაიმართა, ფავორიტად კარგი დონისძიებაა, ვინაიდან ამგვარი შეჯიბრება სპორტსმენის ფიზიკური მომზადების დონეაც ამოწმებს. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ტურნირი თავიდანვე ხარვეზებით დაიწყო. იმის გამო, რომ მსაჯთა კოლეგია დროულად ვერ დაკომპლექტდა, შეჯიბრების სტარტი ერთი საათით დაგვიანდა. მონაწილეთ არც აუზი დახვდათ მზად.

შეჯიბრება მოეწყო 800 და 1500 მეტრზე ნებისმიერი სტილით ცურვაში. დიდი წარმატებებით სპორტსმენებს არც ერთ დისტანციაზე არ გამოუჩენიათ თავი, მაგრამ ერთი-ორი შედეგი მაინც საყურადღებოა: ვ. ონუფრიენკომ გაიუმჯობესა საქართველოს ჭაბუკთა რეკორდი 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 10.25,0, თინა ლეკვეიშვილმა კი 1500 მეტრზე ბულაღმა ცურვით (22.54,3) გაუქმა 6 წლის წინ ი. ამხიაშვილის მიერ თავისუფალი სტილით ცურვაში დამყარებული რესპუბლიკური რეკორდი.

800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 24 ქალი ეჯიბრებოდა ერთმანეთს, მაგრამ გამარჯვება ამ სტილის არც ერთ სპეციალისტს არ მოუპოვებია: ყველას აჯობა მ. ყულიჯანოვამ — 12.11,0, მეორე იყო ტ. შელეტი — 12.49,3, მესამე — ვ. ბახი — 12.59,0. ეს უკანასკნელი კომპლექსური სტილის მოცურავეა, ყულიჯანოვა და შელეტი — გულაღმა მოცურავენი. მათგან თავისუფალი სტილით მოცურავეების დამარცხება იმითაცაა საყურადღებო, რომ ამავე დისტანციაზე ვაჟთა შეჯიბრებაში ბოლო ადგილზე გასული გ. პრისიაჟნიუკის მაჩვენებელი 2.06,9 წამით ჩამორჩება ყულიჯანოვას შედეგს.

„სტაიერის დღემ“ ცხადყო, რომ სპორტსმენების უმეტესობა თავს არიდებს დიდ დისტანციებს. ამის მაგალითად გამოდგება თუნდაც ის, რომ განაცხადის თანახმად „დინამოს“ 42 კაცი უნდა გამოეცვანა, ბრძოლაში კი 29 სპორტსმენი ჩაება. იგივე გამეორდა „განთიადისა“ და განათლების განყოფილების გუნდებში. „შრომით რეზერვებს“ არც ერთი გოგონა არ გამოუცვანია, „სპარტაკმა“, „ბურევესტნიკმა“ და „ლოკომოტივმა“ კი საერთოდ აარიდეს თავი ასპარეზობას.

ა. ᲑᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲚᲘᲝᲜᲘ — ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ — ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

ამას წინათ საფრანგეთში დამთავრდა ევროპის VI ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში.

სპორტის ამ სახეობაში ევროპული მასშტაბის უახლოესი დიდი შეჯიბრებები სსრ კავშირში გაიმართება მორიგი ევროპული კრიტერიუმი ჭაბუკებისა და ქალიშვილებისთვის ამ ზაფხულის მიწურულს ჩატარდება ლენინგრადში, ევროპის VII ჩემპიონატი კი 1970 წლის ზაფხულში გაიმართება მოსკოვს.

აას-ის კორესპონდენტმა სსრ კავშირის მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს ლ. მსკარეშს მიმართა რამდენიმე შეკითხვით ყველა დამთავრებული და მომავალი შეჯიბრებების თაობაზე.

● როგორ აფასებთ საბჭოთა ოსტატების შედეგებს ლიონის შეჯიბრებაში?

— ჩვენმა მაგიდის ჩოგბურთელებმა ლიონში ოქროს 1, ვერცხლის 4 და ბრინჯაოს 3 მედალი მოიპოვეს. ჩვენთვის ესოდენ უხვი მოსავალი პირველია ამგვარ დიდ შეჯიბრებებში. ამიტომ მოღწეულით კმაყოფილი ვართ. შეგვეძლო მეტი? უდავოდ! ევროპის გუნდური პირველობის ფინალში გამარჯვების ნაღდი შანსი ჰქონდათ ზ. რუდნოვასა და ს. გრინბერგს. მაგრამ ასეთი სპასუხისმგებელო მატჩის წინ მათ ზედმეტად იღელვეს, რამაც აშკარად მოახდინა გავლენა თამაშზე. ვფიქრობდით, რომ რუდნოვა პირადი პირველობის მოგებას შეძლებდა, მაგრამ 15 წლის ჩეხოსლოვაკელი სპორტსმენი გოსტოვა ფინალში შესანიშნავად თამაშობდა და ჩვენი ჩემპიონი სავსებით დამსახურებულად დამარცხა. ამ წაგების შემდეგ რუდნოვამ ვეღარ შეძლო მთელი ძალით თამაში ქალთა წყვილების ფინალურ შეხვედრაში. შედეგად მან და გრინბერგმა წააგეს ჩეხოსლოვაკიურ დუეტთან, რომელიც მათ დამაჯერებლად დამარცხეს გუნდურ პირველობაში.

ჩვენი ჩემპიონი ს. გომოზკოვი ტურნირის დაწყებამდე ოფიციალურად მიიჩნდათ № 1 მოთამაშედ. მაგრამ ამ მაღალი კლასიფიკაციის დამტკიცება მან მხოლოდ „მიქსტების“ — შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში შეძლო, სადაც ოქროს მედალი მოიპოვა. ერთეულთა შეხვედრებში მისი შემტევი დარტყმების სერია სათანადოდ „მკაცრი“ ვერ გამოდგა. ხშირად შედეგიანად, მაგრამ არასტაბილურად თამაშობდა ჩვენი მეორე ლიდერი ა. ამელინი.

თუმცა ვიმეორებ, რომ ლიონში ჩვენი ჩოგბურთელების გამოსვლით საერთოდ კმაყოფილი ვართ. ლონდონის 1966 წლის ევროპულ ჩემპიონატთან შედარებით, მათ თამაშში პროგრესი შეიმჩნევა.

● 1970 წლის ევროპული ჩემპიონატისთვის მზადების დროს როგორი მოთამაშეები გყავთ მხედველობაში?

— წლევანდელი ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეებზე უარის თქმას არ ვაპირებთ. რუდნოვა, გრინბერგი, პოდოსოვა, გომოზკოვი, ამელინი, სარხოიანი — ყველა ესენი ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან. მათი ასაკი 20-24 წელია, ყველა საკმაოდ შრომისუნარიანი და უკვე დიდი გამოცდილების პატრონია.

რასაკვირველია, იმედი გვაქვს ახალი ძალების მოზღვავებისა. ვაუებში ლიდერებთან ძალიან ახლოს დგანან რიგელი უ. ეგლარტისი. და ერეკენელი ფ. პილოსიანი. გვყავს ბევრი ძალიან ნიჭიერი მაგიდის ჩოგბურთელი ქალი. დავასახელებ კაუნასელ ა. გიდრაიტიტს, ლუგანსკელ ვ. ვოლკოვას, სომხეთის წარმომადგენელს ე. ანტონიანს. დარწმუნებული ვარ, ისინი თავის სიტყვას იტყვიან ლენინგრადში, ევროპულ კრიტერიუმზე.

● რას გვეტყვით კრიტერიუმისა და 1970 წლის ევროპის ჩემპიონატისათვის მზადების შესახებ?

— კრიტერიუმისთვის გულდაგულ ვემზადებით. დადგენილია, რომ ევროპის ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენების დათვალიერება მოეწყობა 9-13 აგვისტოს შვედური ფირმა „სტიგას“ მაგიდებზე ინგლისური ბურთებით („ბარნა“). მთავარ მსაჯად დამტკიცებულია ლენინგრადელი ჯ. ანენკოვი. საბჭოთა მაგიდის ჩოგბურთელები ბოლო წლების კრიტერიუმებში იმარჯვებდნენ. ვფიქრობთ, ისინი არც ლენინგრადში უდალატებენ ტრადიციას.

მოსკოვის ევროპული ჩემპიონატის ჩატარება ნავარაუდევია ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში. მისი ტრიბუნები 10 ათასზე მეტ მაყურებელს იტევს. სარბიელზე 16 მაგიდის დადგმა შეიძლება.

ᲞᲠᲘᲖᲘ ᲤᲐᲥᲡᲘᲡ ᲛᲐᲚᲝᲚᲔᲑᲡ

„სპარტაკის“ თბილისის ფიზკულტურული კოლექტივების ფეხბურთელთა ტურნირმა „სეზონის გახსნის პრიზზე“ ორ თვეს გასტანა. შეჯიბრებაში, რომელიც ოლიმპიური სისტემით მოეწყო, 16 გუნდი ჩაება. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ № 1 ავტომექანიკოსების ქარხნისა და მსუბუქი ტაქსების მე-3 კონტორის კოლექტივები. მანამდე მეტაქსეებს ყველაზე ძნელი მატჩები აეექსპლოატაციო კონტორისა (მოიგეს — 2:1) და აეროსადგურის (2:0) გუნდებთან ჰქონდათ.

გამარჯვება (2:0) ამჯერადაც ტაქსების კონტორის ფეხბურთელებს ხვდათ და პრიზიც მათ დაისაკუთრეს.

ამ წარმატებაში ყველაზე მეტი წვლილი შეიტანეს მწვრთნელმა, მძღოლმა გ. ბალიაშვილმა და გუნდის წევრებმა შ. მეხანადიშვილმა, ა. ბოკოევმა, ა. ღარიბაშვილმა, ქ. კირაკოზოვმა.

ახლა № 3 კონტორის (უფროსი ნ. ფირცხალავა) ფეხბურთელები I ჯგუფის გუნდების საქალაქო ჩემპიონატში მონაწილეობენ.

ნ. ᲑᲘᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲗᲑᲐᲜᲘ ᲙᲐᲢᲝᲠᲘᲜᲘ

ჩემპიონატის მორიგმა, XIII ტურმა კვლავ მოიტანა სენსაცია: სსრ კავშირის შარშანდელი პირველობის ვერცლის პრიზიორი, სსრ კავშირის თასისა და „ენძელას" პრიზის ორგზის მფლობელი — მოსკოვის „დინამო" ისევ დამარცხდა: მოსკოველებმა 12 ივნისს წაადგეს მატჩი „არარატთან" — 1:2. ანგარიში გახსნა კოვალენკომ, შემდეგ მოსკოველმა ავრუცკიმ შეძლო საპასუხო ბურთის გატანა, მაგრამ მასპინძლებმა მაინც გაიმარჯვეს ოვივიანის გოლის წყალობით — 2:1.

ეს მოსკოვის „დინამოს" მეშვიდე დამარცხებაა მიმდინარე გათამაშებაში. აღსანიშნაია, რომ გუნდმა ზედიზედ 4 მატჩი წააგო, მერე ორ ფრეს მიაღწია კუიბიშევსა და თბილისში, ახლა კი ისევ დამარცხდა. საინტერესოა, როგორ ითამაშებს ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერი ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მომავალ ტურნირში?

„ერთქულიანი გზით" სვლას განაგრძობს „მასტიორი", რომელიც ბაქოში შეხვდა „ნეფტჩის". აქ წინ იყვნენ მასპინძლები (ტუაპსე) და გრიგორიევმა შეძლო ტრადიციული ფრე მოეტანა თავისი გუნდისთვის — 1:1. „მასტიორი" უკვე ზედიზედ მეხუთე თამაშს ამთავრებს ფრედ.

ახალ წარმატებას მიაღწიეს როსტოვის არმიელებმა. შინ მათ დაამარცხეს „კაირატი" — 2:1. პირველი ბურთი გაიტანა კაირატელმა კამინსკიმ, საპასუხო — რომანოვმა, ხოლო გადაწყვეტი — როსტოველთა საუკეთესო ბომბარდირმა კოპაევმა.

კიროვობადში, სადაც თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამო" და „ზარია", ანგარიში არ გახსნილა — 0:0. ასევე დამთავრდა 13 ივნისის შეხვედრა მოსკოვში „ლოკომოტივსა" და „ჩერნომორეცს" შორის.

ჩემპიონატის ბოლო ტურებმა განსაკუთრებული წარმატება მოუტანა „ზენიტს", რომელმაც სამ მატჩში 5 ქულა აიღო. მოსკოვის ტორპედოელებმა 5 თამაშიდან 3 მოიგეს და 2 ფრედ დამთავრეს. სტუმრად პირველი მატჩი მოიგო „პახტაკორმა".

თბილისის „დინამომ" ბოლო 8 შეხვედრა წაუგებლად ჩაატარა და 11 ქულა აიღო. მას კვლავინდებურად ყველაზე ნაკლები ბურთი აქვს გაშვებული.

კარგად ჰკონდათ საქმე ქუთაისის ტორპედოელებს, რომლებმაც მე-8 ტურიდან მოყოლებული საკუთარ და მეტოქეთა მინდვრებზე 2 მატჩი მოიგეს და 4 ფრედ დამთავრეს. და აი, ეს გულდასაწყვეტი წაგება შინ „პახტაკორთან"...

სსრ კავშირის პირველობა

ᲕᲘᲜᲪ ᲨᲘᲜ ᲓᲐᲠᲩᲐ — ᲬᲐᲐ�გᲝ

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 12 ივნისი.

„დინამო" (თბილისი) — ცსკა 2:0 (0:0).

„დინამო": ურუშაძე, ძოძუაშვილი, რეხვიაშვილი, ჭელიძე, პეტრიაშვილი, კუტავაძე (კანთელაძე), ილიადი, სიჭინავა (ცხოვრებოვი), გავაშელი, მეტრეველი, მესხი.

ცსკა: ბაუეა, პონომარიოვი, პლახეტკო, პუგაჩოვი, მოროზოვი, უტკინი, შულიატიცკი (ზჩერბაკოვი), მასლიაევი, ფედოტოვი, რაზდაევი, დუდარენკო (ადამოვი).

მხაჯი ხ. ხტრენკინი (რიგა).

დუბლიორები — 2:0 ცსკა-ს სასარგებლოდ.

მოსკოვის არმიელთა გამოსვლას ჩვენს სტადიონზე უწინ თბილისელი ფეხბურთის მოყვარული მთელი წელი ელოდა ხოლმე. მატჩები „დინამო" (თბილისი) — ცსკა, როგორც წესი, არა მარტო სეზონის ცენტრალურ მოვლენას წარმოადგენდა, არამედ თავისებური საფეხბურთო აკადემიაც იყო, რომელთა მაგალითზე თაობები იზრდებოდნენ.

ასე იყო უწინ. ახლა დრო შეიცვალა და მაყურებელსაც. ალბათ, სხვა ინტერესი გაუჩნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რით აეხსნათ, რომ 12 ივნისის მატჩზე ამ ორ გუნდს შორის თბილისის „დინამოს" სტადიონის ტრიბუნებზე საკმარისზე მეტი იყო „მელოტი" ადგილები.

ეს თავისთავად საბრალო ფაქტია, მაგრამ იმ სკეპტიკოსთა საყურადღებოდ, ვინც არ ისურვა ამ მატჩზე მოსვლა, ვიტყვით: ისინი წაგებული დარჩნენ. მათ ვერ ნახეს ნამდვილი ძალბული ბრძოლით აღსავსე, საინტერესო თამაში.

შეიძლება, „მომდურავნი" მართალი არიან ერთში: ჩვენი გუნდი ახლა საუკეთესო მაჩვენებლით თამაშობს დაცვაში და ყველაზე ნაკლები ბურთიც აქვს გაშვებული უმაღლეს ლიგაში, მაგრამ დინამოელებმა ძალიან უკლეს შედეგიანობას თავდასხმაში და, ამდენად, დაკარგეს აქრესიული, შემტევი გუნდის რეპუტაცია, დაკარგეს ის მთავარი თვისება, რომელიც მათ მუდამ გამოარჩევდა სხვებისგან. მართალია, ბოლო სამ მატჩში თბილისელებს მეტოქეთა კარში არ გაუტანიათ არც ერთი გოლი და, საერთოდ, ასე უშედეგოდ, „ტყუილ-უბრალოდ" აქვთ ნათამაშევი წლევანდელი 7 შეხვედრა.

არმიელებთან თამაში კი გამონაკლისს წარმოადგენდა. რად ღირდა, თუნდაც, მესხისა და პონომარიოვის ბრძოლა! მართალია, მესხმა, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული აქცენტი გააკეთა პონომარიოვთან ინდივიდუალურ შეტაკებებზე, მაგრამ ორი დიდი ოსტატის ეს „დუელი" მეტად საინტერესო სანახაობა იყო და მატჩის ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებო ფრაგმენტს წარმოადგენდა. საბოლოოდ, მესხმა შეძლო თავისი გამოცდილი ოპონენტის დაძლევა, ინდივიდუალური მანევრები გუნდის საერთო სამოქმედო გეგმას შეუსაბამა და ორივე გოლი სწორედ თავისი ფლანგიდან მოამზადდა.

არმიელებმა თავიანთ თამაშს იერიშის დროს საფუძვლად დაუდეს თავისუფალი თავდამსხმელის სწრაფი გაყვანა ბოლო პოზიციაში. ასგ შეუქმნეს მათ, მაგალითად, ფედოტოვს მომენტი, როცა მან სულ რამდენიმე მეტრიდან ძლიერად დაარტყა კარში, მაგრამ ურუშაძემ იხსნა თავისი გუნდი. საერთოდ, ჩვენს მეკარეს კარგი ხანია არ უთამაშია ასე დამაჯერებლად, მობილიზებულად, ადგილების საუკეთესო არჩევით, მცველებთან უშეცდომო ურთიერთმოქმედებით. თქმა არ უნდა, ურუშაძეს დიდი წვლილი შეიტანა გამარჯვებაში. აღნიშვნის ღირსია პეტრიაშვილიც, რომელმაც საგრძნობლად გაზარდა სათამაშო დიაპაზონი, გაამრავალფეროვნა გადაცემები და საკუთარი დაცვითვის ზიანის მიუყენებლად მონაწილეობას იერიშებში.

თბილისელებმა მხოლოდ მეორე ტაიმში აიყვანეს საჭირო კონტროლის ქვეშ მოწინააღმდეგის თავისუფალი თავდამსხმელი და ამან მკვეთრად შეამცირა სახიფათო მომენტები მათ კართან, ამავე დროს შესაძლებლობა შეიქმნა შეტევა უფრო ხანგრძლივი, მოფიქრებული და საფუძვლიანი ყოფილიყო. მოსკოველთა დაცვაში დროდადრო ერთ-ერთ ადგილზე ერევოდა დაზღვევა და დინამოელი ფორვარდები სულ უფრო ხშირად რჩებოდნენ ხელსაყრელ პოზიციაში.

ასე დაირღვა ცსკა-ს დაცვა 26-ე წუთზე, როცა მესხმა და პეტრიაშვილმა მარცხენა ფლანგზე გამოიტყვეს რამდენიმე მოთამაშე. აქედან ბურთი გადაეცა ცენტრში, სადაც მეტრეველმა ზუსტად, შეუცდომლად ითამაშა — 1:0.

მერე კი, როცა დაშავებული კუტავაძის ნაცვლად მინდორზე მესამე სტოპერი — კანთელაძე გამოვიდა, თბილისელთა თამაში შუა მინდორზე მაშინვე გაიყინა და არმიელებს წამსვე მიეცათ ძლიერი კონტრთამაშის საშუალება. ისინი დაიძრნენ წინ და მასპინძელთა კარი ზედიზედ აღმოჩნდა საპასუხო ბურთის გატანის საშიშროების წინაშე. ურუშაძესაც და მცველებსაც რამდენიმე მძიმე სიტუაციის გადატანა მოუხდათ, კარის გადარჩენა შესაძლებელი იქნა მხოლოდ ძალების უკიდურესი დაძაბვით.

მატჩის დასასრულს მდგომარეობა გამოაწორდა. 85-ე წუთზე მოსკოველთა კარში დაინიშნა საჯარიმო. დინამოელებმა იგი ასე გაითამაშეს: მეტრეველი — მესხი — პეტრიაშვილი — გავაშელი. მეკარე ბაუეა არასწორად გაშვიდა წინ და გავაშელმა თავით გაიტანა გოლი, რომელმაც წერტილი დაუსვა ჩვენი გუნდის გამარჯვებას.

ბ. კორძია.

ᲓᲐᲬᲘᲐᲜᲘᲘ ᲛᲐᲠᲪᲮᲘ

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 12 ივნისი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „პახტაკორი" (ტაშკენტი) 1:2 (0:1).

„ტორპედო": კვასხვაძე, ლოსაბერიძე, ებრალიძე, შერგელაშვილი, ჩხაიძე (ხაჟალია), წვერავა (ხერხაძე), ერქომაიშვილი, ზარია, ვეკუა, ხუციშვილი, ჭოლაძე.

„პახტაკორი": ლიუბარცევი, პეტუხოვი, შტერნი, ნაუმენკო, ინოიატოვი, შარიოვი (მიხაილუცა), ჯარუხინი, გალეევი (ბეკოთაშვილი), რახმატულაევი, აბდურაიმოვი, იბრაგიმოვი.

მსაჯი ვ. ბარაშოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 4:2 „პახტაკორის" სასარგებლოდ.

ბოლო ტურებში ქუთაისელ ფეხბურთელთა წარმატებები საყოველთაოდ ცნობილია. მას შემდეგ, რაც ტორპედოელებმა ქულათა საკმარისი მარაგი აიღეს როგორც შინ, ისე სტუმრად, მოსალოდნელი იყო, რომ ისინი მდგომარეობას კიდევ უფრო განიმტკიცებდნენ საკუთარ მინდორზე შეხვედრებში ისეთ მეტოქეებთან, როგორიცაა „კაირატი" და „პახტაკორი".

და აი, „კაირატთან" დაკარგეთ ქულა, ხოლო „პახტაკორთან" დამარცხებულებმაც კი დავტოვეთ მინდორი.

რატომ მოხდა ასე, როცა „ტორპედოს" მოთამაშეები თავიანთი კლასით ჯობიან ტაშკენტელ ფეხბურთელებს? ჩვენი აზრით, საქმე მდგომარეობს იმ ტაქტიკაში, რომელიც გუნდმა გამოიყენა „პახტაკორის" წინააღმდეგ: ყველა მეტოქესთან არ შეიძლება დაცვითი ვარიანტით ბრძოლა. ტაშკენტის გუნდს შინ უნდა ეთამაშა მაქსიმალური შეტევით და თავშივე მოუსპო წარმატებაზე ფიქრი. ნაცვლად ამისა, მასპინძლებმა თავდადგეს საკუთარი კარის უხიფათობაზე იწყეს ფიქრი და ტაშკენტელებს იერიშზე გადასვლის საშუალება მისცეს. „პახტაკორმა" სწორი გადაწყვეტილება მიიღო: წინ გადაისროლა მთავარი ძალები და 22-ე წუთზე უყურადღებოდ დატოვებულმა აბდურაიმოვმა გახსნა კიდეც ანგარიში.

პირველი სახიფათო მომენტი მოწინააღმდეგის კართან ქუთაისელებმა შექმნეს მხოლოდ მეორე ტაიმში, 50-ე, წუთზე, როცა ლიუბარცევმა მოიგერია ვეკუას დარტყმა. ხაჟალიამ მიუსწრო ბურთს, მაგრამ ძალს მოახვედრა იგი.

ანგარიშის გათანაბრება ტორპედოელებმა მაინც შეძლეს. ეს მოხდა 85-ე წუთზე, როცა ხაჟალიამ ბურთი გადააწოდა წინა ხაზზე გასულ შერგელაშვილს. ძლიერმა დარტყმამ მიზანს მიაღწია — 1:1.

ქულა თითქოს გადარჩენილი იყო, მაგრამ ტორპედოელებმა ისევ მისცეს სტუმრებს შეტევის განვითარების საშუალება და ისევ უყურადღებოდ დატოვეს „პახტაკორის" მთავარი ბომბარდირი აბდურაიმოვი. მან 5 მეტრიდან ზუსტად გაგზავნა ბურთი კარში.

ეს იყო დასასრული მარცხი, რომელიც ჩვენი გუნდის პასიური თამაშით უნდა აიხსნას.

შ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ტაიმის დასასრულისთვის თბილისელები წინ იყვნენ ანგარიშით 2:0 (ორივე ბურთი გაიტანა გოცირიძემ). შესვენების შემდეგ ჩოხტაურელები საგრძნობლად გააქტიურდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთი საპასუხო ბურთის გატანა შეძლეს.

● „ლაითური" (პაპარაძის რაიონი) — „აერო" (გალი) 2:0. მსაჯი ა. ჭკუასელი (თბილისი).

● „მეტალურგი" (ზესტაფონი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 4:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

დასაწყისი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ მალე გამოიკვეთა მასპინძელთა უპირატესობა, რომლებმაც (ჭიჭინაძე, ბოცვაძე) ზედიზედ 2 გოლი გაიტანეს მეტოქის კარში. მართალია, შესვენების შემდეგ რვავზიშვილმა შეამცირა განსხვავება ანგარიშში, „მეტალურგმა" მაინც შეძლო დამაჯერებელი გამარჯვების მოპოვება — 4:1 (ბურთები გაიტანეს მოსეშვილმა და ბოცვაძემ).

● „კოლმეურნე" (წალენჯიხა) — ასკ (თბილისი) 2:3. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).

პირველი ბურთი მასპინძელთა კარში გაიტანა ნერსესაშვილმა და ეს გოლი „კოლმეურნემ" გაქვითა 35-ე წუთზე. შესვენების შემდეგ ცირკაციძემ და ლობზევამ დააწინაურეს არმიელთა გუნდი (3:1). მასპინძლებმა მატჩის დასასრულს შეამცირეს სხვაობა ანგარიშში.

● „დურუჯი" (ყვარელი) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 0:0. მსაჯი ლ. ჯობაძე (ხაშური).

● „ხინოლეე" (თბილისი) — „ხამცხე" (აწყური) 5:1. მსაჯი ბ. ჯობაშვილი (თბილისი).

● „კოლხეთი" (ცხაკაია) — „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) 1:0. მსაჯი ვ. ეჭიბია (თბილისი).

უპირატესობას თავიდანვე ცხაკაიელები ფლობდნენ, მაგრამ ისინი დასჯერდნენ ხუბუნაიას მიერ გატანილ ერთადერთ ბურთს.

● „მესხეთი" (ახალციხე) — „გარეჯი" (საგარეჯო) 2:0. მსაჯი ნ. ნადიროვი (რუსთავი).

უშედეგოდ დამთავრებული ტაიმის შემდეგ ახალციხელებმა ძლიერად ჩაატარეს მეორე ნახევარი. ანგარიში გახსნა მათითაშვილმა, რის შემდეგ მეტოქეებმა კარგად გამოიყენა „გარეჯის" მეკარის უხეში შეცდომა.

* * *

მატჩში სიღნაღის „მშენებელთან" მცხეთის „არაგვის" შემადგენლობაში თამაშობდა განუცხადებელი ფეხბურთელი, რის გამოც „არაგვს" წაგება ჩაეთვალა.

I ᲯᲒᲣᲤᲘᲡ II ᲥᲕᲔᲯᲒᲣᲤᲘ
I ᲖᲝᲜᲐ

„გარისი" (თეთრი წყარო) — „მერეთი" (ლაგოდეხი) 0:2, „ზემო ქარლილი" (ხაშური) — „შირაქი" (წითელწყარო) 4:2, „აბული" (ახალქალაქი) — „თრიალეთი" (წალკა) 1:0, „შრომითი რეზერვები" (გარდაბანი) — „კოლმეურნე" (მარნეული) 4:0, „ელმავალმშენი" (თბილისი) — „განთიადი" (კასპი) 5:2, „არაგვი" (დუშეთი) — „ვარძია" (ასპინძა) 3:1, „ვაზისუბანი" (გურჯაანი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 3:1. ახმეტის „პახტრიონს" წაგება ჩაეთვალა ბოდბისოფლის „ფარეანასთან".

II ᲖᲝᲜᲐ

„რიწა" (გუდაუთა) — „ელექტრიკოსი" (ქუთაისი) 2:0, „საირმე" (მაიაკოვსკი) — „განთიადი" (აბაშა) 0:4, „მშენებელი" (ჭიათურა) — „კოლხეთი" (ხობი) 1:5, „კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — „იმერეთი" (თერჯოლა) 1:1, „მეშახტე" (ტყვარჩელი) — „განსხლება" (ადიგენი) 1:2, „სალხინო" (გეგეჭკორი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 1:2, „სამგურალი" (წყალტუბო) — „დინამო" (ოჩამჩირე) 2:0, „კოლხეთმშენი" (ფოთი) — „განთიადი" (ტყიბული) 2:0.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲔᲑᲘ

„ᲖᲔᲓᲘ"

რᲡᲤᲡᲠ-Ს III ᲖᲝᲜᲐ

მდგომარეობა 15 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" (ბელგოროდი)	12	7	3	2	18—6	17
„შრ. რეზერვები" (კურსკი)	12	7	3	2	16—4	17
„დილა" (გორი)	12	6	4	2	17—6	16
„სპარტაკი" (ორიოლი)	12	5	6	1	18—6	16
„ხიმიკი" (ბალაკოვო)	12	4	8	1	10—6	16
„ᲨᲠᲝᲛᲐᲩᲘ" (მაიკოპი)	12	6	3	4	19—9	15
„დაშკინი" (ზაჭათალა)	12	6	3	3	14—14	15
„ᲨᲠᲝᲛᲐᲩᲘ" (ლაბინსკი)	12	4	7	2	5—6	15
„ტექსტილშიკი" (მინგეჩაური)	12	5	4	3	14—10	14
„მეტალურგი" (რუსთავი)	12	6	2	4	11—7	14
„ალაზანი" (გურჯაანი)	12	5	2	5	15—14	12
„ტორპედო" (არმავირი)	12	4	4	4	12—14	12
„ენერგია" (ვოლგსკი)	12	4	4	5	8—11	12
„ᲨᲠᲝᲛᲐᲩᲘ" (სლავიანსკი)	12	4	3	5	11—18	11
„ტრუდი" (ენგელსი)	12	3	5	4	9—12	11
„ᲨᲠᲝᲛᲐᲩᲘ" (სვეტლოგრადი)	12	2	7	4	8—12	11
„ᲨᲠᲝᲛᲐᲩᲘ" (ლენინგრადსკაია)	12	2	6	4	6—12	10
„ᲨᲠᲝᲛᲐᲩᲘ" (ალექსანდროვსკაია)	12	2	4	7	8—14	8
„ᲮᲘᲛᲘᲙᲘ" (ნევინომისკი)	12	2	4	6	7—16	8
„ᲐᲠᲐᲖᲘ" (ნახიჩევანი)	12	2	2	8	9—17	6
„ᲨᲐᲚᲐᲜᲘ" (ელისტა)	12	0	3	10	15—24	3

რᲡᲤᲡᲠ-Ს IV ᲖᲝᲜᲐ

მდგომარეობა 15 ივნისისათვის

„ᲮᲔᲕᲐᲜᲘ" (ოქტემბერიანი)	12	7	5	0	20—5	19
„ᲚᲝᲠᲘ" (კიროვაკანი)	12	6	5	1	18—7	17
„ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ" (ფოთი)	12	7	2	4	22—8	16
„ᲪᲔᲛᲔᲜᲢᲘ" (ნოვოროსიისკი)	12	5	6	1	18—8	16
„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ" (კისლოვოდსკი)	12	4	7	1	18—7	15
„ᲖᲣᲠᲘᲐ" (ლენინაკანი)	12	6	2	5	20—15	14
„ᲛᲐᲨᲣᲙᲘ" (პიატიგორსკი)	12	5	4	3	14—9	14
„ᲨᲠᲝᲛᲐᲩᲘ" (კრიმსკი)	12	3	8	1	14—11	14
„ᲐᲠᲐᲔᲚᲘ" (ეჩმიაძინი)	12	6	1	5	12—11	13
„ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲪᲘ" (კაფანი)	12	6	1	5	14—19	13
„ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ" (ზუგდიდი)	12	4	5	4	8—14	13
„ᲛᲘᲠᲪᲮᲐᲚᲘ" (მახარაძე)	12	4	5	4	14—20	13
„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (ხოხუმი)	12	5	2	6	16—13	12
„ᲨᲣᲥᲠᲘᲐ" (ქობულეთი)	12	3	6	3	9—11	12
„ᲛᲐᲓᲐᲠᲝᲔᲚᲘ" (ჭიათურა)	12	3	5	4	10—13	11
„ᲨᲠᲝᲛᲐᲩᲘ" (დერბენტი)	12	3	4	5	10—14	10
„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ" (ცხინვალი)	12	2	4	6	5—9	8
„ᲨᲠᲝᲛᲐᲩᲘ" (გროზნო)	12	2	4	7	10—20	8
„ᲘᲠᲘᲡᲢᲝᲜᲘ" (მოზდოკი)	12	2	3	8	10—18	7
„ᲢᲠᲣᲓᲘ" (ქასპიისკი)	12	2	3	7	7—17	7
„ᲙᲐᲮᲔᲗᲘ" (თელავი)	11	1	4	6	5—16	6

საქართველოს ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

● **„ხულორი" (ვანი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 4:2. მსაჯი ა. ნიანოზოვი (თბილისი).**

თამაში დაიწყო სწრაფ, ტემპიან ბრძოლაში, თუმცა იგი დროდადრო უხეშობაშიც გადადიოდა. ანგარიში 23-ე წუთზე გახსნა ვახტანგ ბერძენიშვილმა, რასაც მალე მოჰყვა ოჩხრიკიძის საპასუხო გოლი — 1:1. ტაიმის დასასრულისთვის ლორთქიფანიძემ და ნიკოლაიშვილმა დააწინაურეს „ხულორი" — 3:1, ხოლო შემდეგ ჩოხანიძემ აიძულა რეინიგზელები მეოთხედ დაეწყოთ თამაში ცენტრიდან. „ლოკომოტივმა" ისღა შეძლო, რომ ტაიმის დასასრულს 1 გოლი გაქვითა (დოლიძე).

● **„ხიანი" (თბილისი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 2:1. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).**

4:1 (ბურთები გაიტანეს მოსეშვილმა და ბოცვაძემ).

● **„კოლმეურნე" (წალენჯიხა) — ასკ (თბილისი) 2:3. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).**

პირველი ბურთი მასპინძელთა კარში გაიტანა ნერსესაშვილმა და ეს გოლი „კოლმეურნემ" გაქვითა 35-ე წუთზე. შესვენების შემდეგ ცირკაციძემ და ლობზევამ დააწინაურეს არმიელთა გუნდი (3:1). მასპინძლებმა მატჩის დასასრულს შეამცირეს სხვაობა ანგარიშში.

● **„დურუჯი" (ყვარელი) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 0:0. მსაჯი ლ. ჯობაძე (ხაშური).**

● **„ხინოლეე" (თბილისი) — „ხამცხე" (აწყური) 5:1. მსაჯი ბ. ჯობაშვილი (თბილისი).**

● **„კოლხეთი" (ცხაკაია) — „ნარინჯი" (ბათუმის რაიონი) 1:0. მსაჯი ვ. ეჭიბია (თბილისი).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი ეროვნულიდან

ჩვენ ამბავ რესპუბლიკაში

ვლადივოსტოკში, რევოლუციის მებრძოლთა მოედანზე სტარტი აიღო მოტოციკლისტთა ჯგუფმა, რომელიც შორეულ გზას დაადგა. ვლადივოსტოკის სხვადასხვა საწარმოს სპორტსმენები ვ. შალაგინი, ვ. მიასნიკოვი, ბ. გუშჩინი, ბ. ხრაბრიხი, ვ. შესტაკოვი, ე. მარტინოვი და ვ. ნემჩენკო აწყობენ მოტოგადარბენას ლენინურ ადგილებში. მათი გზა 30 ათას კილომეტრზე მეტია. მარშრუტის ფურცელში ჩაწერილია: „ვლადივოსტოკი — შუშენსკოე — ვოლგოგრადი — ულიანოვსკი — ყაზანი — მოსკოვი — ლენინგრადი — რაზლივი“.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: მოტოგადარბენის მონაწილენი ვლადივოსტოკში, რევოლუციის მებრძოლთა მოედანზე.

ფოტო ბ. პოდალიოვისა.

„მერიდიანის“ ოდისეა

კამჩატკელმა სპორტსმენებმა ვ. სალნიკოვმა და ბ. სუმინმა დაიწყეს სამთვიანი ლაშქრობა ლენინურ ადგილებში და ქვეყნის კომკავშირულ მშენებლობებზე. ისინი მდინარეებზე ივლიან კარჭაპით, რომელსაც „მერიდიანი“ ჰქვია.

პეტროპავლოვსკის საზღვაო ნავსადგურში კარჭაპი საოკეანო ლაინერ „სოვეტსკი სოიუზზე“ მოათავსეს. იგი მოგზაურებს ჩაიყვანს ვლადივოსტოკში, საიდანაც „მერიდიანი“ სტარტს აიღებს. სპორტსმენებს განზრახული აქვთ ქვეყნის ცისფერ გზებზე გაიარონ 17 ათასი კილომეტრი. მათი გზა გადის ამურის კომაომოლსკზე, შუშენსკოეზე, ულიანოვსკზე, ყაზანზე, მოსკოვზე და სხვაგან. ლაშქრობა დამთავრდება ლენინგრადში.

ორივე სპორტსმენი ტაქსის მძღოლია. ლაშქრობა მათი შვებულების დროს ეწყობა. წყალსამოტორო სპორტის ოსტატი ვ. სალნიკოვი ორი წლის წინ „გეიზერისა“ და „ვულკანის“ ეკიპაჟის წევრი იყო. მაშინ მან პირველად იმოგზაურა მდინარეებით შორეული აღმოსავლეთიდან მოსკოვამდე.

„მერიდიანზე“ დგას „ზაპოროჟეცისა“ და ჰიდრორეაქტიული ძრავები.

მ. ჟილინი.

ლიდერი — საძიებლიმო შრომის ხელმძღვანელი

ნოვოსიბირსკი, 13 ივნისი. აღგილობრივ უნივერსიტეტში დაიცვეს უჩვეულო სადიპლომო შრომა — „ჭადრაკის პროგრამირების საკითხისთვის“. მისი ავტორია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების გამოთვლითი ცენტრის უფროსი ლაბორანტი, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების VI კურსის სტუდენტი ვ. ბუტენკო. იგი პირველთანრიგოსანი მოჭადრაკეა.

სადიპლომო შრომის ხელმძღვანელია ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, საერთაშორისო დიდოსტატი მ. ბოტვინიკი. იგი თავისივე დამუშავებული ალგორითმით უკვე პრაგალი წელია მუშაობს ელექტრულ-გამომთვლელი მანქანებისთვის საჭადრაკო პროგრამის შექმნაზე. ბოტვინიკისა და ბუტენკოს შემოქმედებითი მეგობრობა ორი წლის წინ დაიწყო.

და აი, ბუტენკომ ფრიადზე დაიცვა დიპლომი. ამ ნაშრომის მნიშვნელობის შესახებ ბოტვინიკმა საკვლევის კორესპონდენტს უთხრა: „იმისათვის, რომ ჭადრაკის ოსტატის აზროვნების მეთოდები მანქანის პროგრამის ენაზე გადავიტანოთ, მანქანას ჯერ ფიგურების გადატამ-გადმოტანა უნდა შევასწავლოთ. ბუტენკომ ჩინებულად გადაწყვეტა ამოცანა ახალი მეთოდის დახმარებით. ეს მეთოდი მანქანას ხელს უწყობს ყველა ეგრეთ წოდებული სტანდარტული ოპერაციის შეხრულებაში, რაც ჭადრაკში უცვლელი რჩება.

სტანდარტული ოპერაციების პროგრამა მთლიანად რომ დასრულდა, ბუტენკომ ჭადრაკის ლოგიკურ პროგრამაზე დაიწყო მუშაობა. ვფიქრობ, მას მხარს დაუჭერენ მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების გამოთვლით ცენტრში.

ბუტენკოს ნაშრომის დასრულების შემდეგ შესაძლებელი გახდება დიდოსტატთა აზროვნების მეთოდების ამოხსნა და სხვადასხვა დროის მოჭადრაკეთა თამაში შედარება“.

ბოტვინიკის აზრით, როცა სხვადასხვა ქვეყნის სწავლულები წარმატებით დაამთავრებენ ცდებს, შესაძლებელი გახდება საჭადრაკო ამოცანების გადაწყვეტის მეთოდის უფრო არსებით სფეროებში, პირველ ყოვლისა კი ეკონომიკაში გადატანა.

ნახევარფინალები — სად და როდის?

ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატის ორივე ნახევარფინალური მატჩის ადგილი და თარიღი დადგენილია: ბ. სპასკისა და ბ. ლარსენის (დანია) მატჩი ივლისის პირველ რიცხვებში დაიწყება შვეციის ქალაქ მალმეში, მ. ტალი და ვ. კორჩნოი კი 25 ივნისს ჩართავენ საათებს მოსკოვში.

მატჩებში გამარჯვებულები ერთმანეთს აგვისტოში შეხვდებიან. ეს შეხვედრა გადაწყვეტს, ვინ უნდა ითამაშოს გაისად მსოფლიო ჩემპიონ ტ. პეტროსიანთან.

კორჩნოი და ტალი მოსკოვში ერთ დღეს ჩავიდნენ ჰოლანდიიდან და იუგოსლავიიდან, სადაც წარმატებით ითამაშეს მეოთხედფინალურ მატჩებში. ისინი გზაშივე შეთანხმდნენ ორთაბრძოლის ადგილსა და დროზე.

მეორე მატჩის საკითხის გადასაწყვეტად დიდხანს გრძელდებოდა მიმოწერა. ახლაც არაა დაზუსტებული, ივლისის რომელ რიცხვში შედგება ლარსენ — სპასკის მატჩის პირველი პარტია.

მოგაგონებთ, რომ პრეტენდენტთა შეჯიბრების წინა ციკლში, რომელიც პირველად ჩატარდა სამატჩო სისტემით, 1965 წელს ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდნენ ბ. სპასკი — ე. გელერი და მ. ტალი — ბ. ლარსენი. სპასკიმ ანგარიშით 5,5:2,5 დაამარცხა მეტოქე, ტალმა კი მინიმალური სხვაობით სძლია დანიელს — 5,5:4,5.

(საკდესი).

შეჯახება ჰაერში

ლეონი (პოლონეთი), 14 ივნისი. სპალანერო სპორტში მსოფლიოს XI ჩემპიონატი უსიამოვნებით დაიწყო: პირველივე ვარჯიშის — 224-კილომეტრიან სამკუთხედში სწრაფფრენის დროს ერთმანეთს შეეჯახა ორი პლანერი. პილოტებმა უ. ელკემ (გდრ) და ა. იიდოგანმა (თურქეთი) პარაშუტით უშველეს თავს. ახლა საგანგებო კომისია ამ ინციდენტის მიზეზებს არკვევს.

წვიმიანი ამინდის გამო ჩემპიონატი 4 დღის დაგვიანებით დაიწყო. მონაწილეებმა უკვე მოასწრეს საერთაშორისო ბაზრობაზე ყოფნა, რომელიც პოზნანში გაიხსნა.

* * *

224-კილომეტრიან სამკუთხედში სწრაფფრენამ გამარჯვება მოუტანა მათ, ვინც იფრინა ახალ, პლასტმასის „ფრინველებზე“ — ესენი ხომ მაღალი ავროდინამიკური თვისებებით გამოირჩევიან! ღია კლასის პლანერებში პირველი იყო იტალიელი ვ. ფერგანი — 2:54.25, ხოლო სტანდარტულ კლასში — ბელგიელი ჰ. შტოუფი — 2:52.30.

საბჭოთა სპორტსმენთაგან ამ კლასების შეჯიბრებებში შესაბამისად საუკეთესონი იყვნენ ე. რუდენკო (XV ადგილი) და ი. კუზნეცოვი (XIX). პროგრამის მომდევნო სახეობებში სსრ კავშირის წარმომადგენლებს მაღალი შედეგების იმედი აქვთ.

სტარტი აიღო 105 მფრინავმა, მათგან 19-მა ვერ შეძლო მთელი დისტანციის დაფარვა.

ნახევარ გზაზე

ლონდონი, 14 ივნისი. ერთეულ აფრისანთა ტრანსატლანტიკური რბოლის მონაწილეებმა ორ კვირაში ნახევარი გზა—1500 საზღვაო მილი გაიარეს. სტარტი 35 სპორტსმენმა აიღო, მაგრამ ოთხმა უკვე მიატოვა „დისტანცია“.

ახლა წინაა ინგლისელი ჯ. უილიამსის იახტა „სერ თომას ლიპტონი“. ლიდერობისთვის მას ჯიუტად, მაგრამ ჯერჯერობით ამაოდ ებრძვის აწ დიდი შეჯიბრების კიდევ ოთხი მონაწილე. უილიამსმა კი ბრძოლა სხვებზე 12 საათით გვიან დაიწყო. იმის გამო, რომ გახეცხადი დაგვიანებით წარმოადგინა, შეჯიბრების ორგანიზატორებმა — ინგლისის „დასავლეთის საზეფო საიახტო კლუბის“ წარმომადგენლებმა მას ჯარიმა დააკისრეს.

უკანასკნელად ბრძოლას გამოეთიშა შვეიცარიელი გი პიაციენი. მან რადიოთი აუწყა ინგლისის ნავსადგურ პლიმუტს, სადაც შეჯიბრების შტაბი იმყოფება, ვბრუნდებიო. მიზეზი პიაციენის არ უთქვამს.

(საკდესი).

თავდასხმა ჯანზეა

რიო-დე-ჟანეირო, 13 ივნისი. „მარაკანას“ სტადიონზე ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში დიდი ანგარიშით (4:0) დაამარცხა ურუგვაის ეროვნული გუნდი. გოლების ავტორები არიან პაულო ბორგესი, გერსონი და ჟაირზინიო (2).

მწვრთნელებმა დაასახელეს ბრაზილიის ნაკრების 22 ფეხბურთელი, რომლებიც მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატისთვის შეუდგნენ მზადებას. ესენი არიან: მეკარეები ფელიქსი და კლაუდიო; მცველები კარლოს ალბერტო, დე მარია, ჟურანდირი, მარინიო, ჟოელი, ბრიტო, საიდი, რილდო; ნახევარმცველები რიველინიო, გერსონი, დენილსონი, ვილსონ პიაცა; თავდასმსმელები ნატალი, პაულო ბორგესი, სეზარი, ჟაირზინიო, ტოსტაო, რობერტო, ედუ, ედვარდო.

* * *

ბრაზილიის „სანტოსმა“ თავისი ევროპული ტურნეს პირველ მატჩში ანგარიშით 2:1 დაამარცხა „კალიარი“ (იტალია). ანგარიში გახსნა მასპინძელმა გრეატიმ, მაგრამ შესვენების შემდეგ ტონინიომ ორი ბურთი გაიტანა.

ᲥᲔᲚᲚᲘ ᲥᲐᲒᲔᲗᲘ

● ლონდონი, 12 ივნისი. დამთავრდა ინგლისის ტრადიციული ველოტური. ბოლო, XIV ეტაპი (მორკამბი — ბლეკპული, 147 კმ) მოიგო შვეციელმა ტ. პეტერსონმა — 3.45.02. გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს ასევე შვეციის წარმომადგენლებმა — 11:19.57. 14 ეტაპის ჯამში პირველობა არავის დაუთმო საგზატკეცილო რბოლაში მსოფლიო ჩემპიონმა პეტერსონმა — 57:41.09. II საპრიზო ადგილზეა საბჭოთა მრბოლელი ვ. სოკოლოვი — 57:48.48, ხოლო III — ირლანდიელი პ. დოილი — 57.51.50. გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: სსრ კავშირი — 171:16.21; ინგლისი I — 171:24.22; ინტერნაციონალური გუნდი („სამყაროს ყველა ვარსკვლავი“) — 171:26.26. „სამთო მეფედ“ და ყველაზე აქტიურ ველოსიპედისტად აღიარეს დოილი. ტარტუელი ი. კლასამენტი დაჯილდოებულია გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ საგანგებო პრიზით.

● პარიზი, 13 ივნისი. მძლეოსანთა აქ გამართულ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებაში — „პოლ მერიკამის მემორიალში“ წარმატებით გამოვიდა უკრაინელ ქალაქ როვნოს წარმომადგენელი, 27 წლის ა. ბონდარჩუკი. მან 70,60 მეტრზე ტყორცნა ურო და 58 სანტიმეტრით აჯობა მსოფლიო რეკორდსმენს, უნგრელ დ. ჟივოცკის. ბონდარჩუკი მესამე საბჭოთა მტყორცნელი გახდა, ვინც 70-მეტრიანი ზღვარი გადალახა. 100 მეტრზე ვაჟთა რბენაში სფრანგეთის ახალი რეკორდი დამყარა რ. ბამბიუკმა — 10,1 წამი. მან უკან ჩამოიტოვა სახელგანთქმული კუბელი ე. ფიგეროლა (10,3). ჭოკით ხტომაში ყველას აჯობა ფრანგმა ე. დ'ახკოსმა — 520 სმ. სიგრძეზე ხტომაშიც მასპინძელმა იმარჯვა: ჟ. პანმ (793 სმ) ერთი სანტიმეტრით აჯობა მოსკოველ ი. ტერ-ოვანესიანს. ფრანგებმა სხვა სახეობებშიც მიაღწიეს წარმატებას: 3000 მეტრზე წინაღობებით რბენა კარგი შედეგით (8.38,8) მოიგო გ. ტეკსერომ, ხოლო ბერეემ, დელეკურმა, ფენუილმა და ბამბიუკმა ყველას აჯობეს 4×100 მ ესტაფეტაში — 39,6. 110 მეტრზე თარჯრბენში ტოლი არ ჰყავდა იტალიელ ე. ოტოზს — 13,6.

● სტოკჰოლმი, 13 ივნისი. 1500 მეტრზე რბენაში წლევანდელი მსოფლიო სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი აჩვენა მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ა. ჰეგბერგმა — 3.40,9. შვეიცარიის ახალი რეკორდი დამყარა ე. ჯუბაპერმა — მისი შედეგი ბირთვის კვრაში 19,18 მეტრია. ჩეხოსლოვაკიელმა რ. ჰიუბნერმა 213 სმ სიმაღლე დაძლია. 1500 მეტრზე რბენაში ევროპის ჩემპიონმა ბ. ტიუმლერმა (გფრ) პირველად სცადა ძალა 5000-მეტრიან დისტანციაზე და გაიმარჯვა კიდეც — 13.49,6. მისი მთავარი მეტოქე იუგოსლავიელი ნ. ფარჩიჩი იყო, რომელიც მეხიკოში აპირებს გამოსვლას... მარათონში. ფარჩიჩის დროა 13.55,4. სენსაციით დამთავრდა ბადროს მტყორცნელთა შეჯიბრება: 22 წლის რ. ბრუმმა (შვეცია) დაამარცხა მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი ლ. დანეკი (ჩეხოსლოვაკია). გამარჯვებულის შედეგია 60,58 მ, ხოლო ჩეხოსლოვაკიელისა — 59,98.

● კუპრია, 13 ივნისი. იუგოსლავიის ამ პატარა ქალაქში გამართულ შეჯიბრებაში ევროპის ჩემპიონმა, 19 წლის ვერა ნიკოლიჩმა წლევანდელი მსოფლიო სეზონის საუკეთესო დრო აჩვენა 800 მეტრზე რბენაში — 2.02,9. ფინიშთან მეორე იყო იტალიელი პაულა პინეი — 2.05,1, ხოლო მესამე — გდრ-ის წარმომადგენელი კარინ ბურნელაიტი — 2.05,5.

● ტარტუ, 13 ივნისი. ადგილობრივი უნივერსიტეტის კალათბურთელმა ქალებმა ამხანაგური შეხვედრა გამართეს უნგრეთის ნაკრებთან და გაიმარჯვეს — 81:53. მანამდე სტუმრებმა ორჯერ ითამაშეს რიგაში სსრ კავშირის ჩემპიონთან ტტტ-სთან. ორივეჯერ გაიმარჯვეს რიგელებმა — 85:48 და 64:58.

● მოსკოვი, 13 ივნისი. დედაქალაქის მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატში გაიმართა კიდევ ორი ტური. XII ტურში ლიდერების — დ. ბრონშტეინისა და ტ. პეტროსიანის პარტია ყაიმით დამთავრდა. XIII ტურში მოულოდნელად დამარცხდა ბრონშტეინი (ბ. გულკოსთან). პეტროსიანის პარტია ვ. ლიბერზონთან ყაიმით დასრულდა. 13 ტურის შემდეგ 9-9 ქულით დაწინაურდნენ პეტროსიანი და ბრონშტეინი.

● პიარნუ, 13 ივნისი. ესტონეთის ამ ქალაქში დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა ტრადიციული ტურნირი, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილიც თამაშობს.

● იორკი, 13 ივნისი. აშშ-ს ძალოსანთა ჩემპიონატში ოთხმა ათლეტმა შეინარჩუნა ჩემპიონის წოდება. ესენი არიან: ამახარა (ქვემსუბუქი წონა), ნიპი (ქვესაშუალო), ულეო (საშუალო), გრიპალდი (ქვემძიმე). პირველად გახდნენ ჩემპიონები ოპორტო (მჩატე), მენსური (მსუბუქი), მიურეი (მძიმე). (ზემძიმე წონაში ბედნარსკის გამარჯვებას ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით. — რედ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

17 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ

საქართველოს ფილარმონიის საზაფხულო თეატრში (პლეხანოვის პრ. № 123) გაიმართება სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატში გამარჯვებულების — თბილისის დინამოელებისადმი მიძღვნილი სალამო.

გუნდის წევრებს გადაეცემათ ოქროს მედლები.

დასაწყისი 19 საათზე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 03299